



აგრიმატკო ჯორჯია
AGRIMATCO GEORGIA

ზინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი:

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6

ფინანსური ანგარიშგების განმარტებები

1. ზოგადი ინფორმაცია	7
2. მომზადების საფუძვლები	7
3. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და პროგნოზები.....	8
4. ძირითადი საშუალებები	9
5. მარაგები	9
6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10
7. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები.....	11
8. სესხები	11
9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12
10. ამონაგები	12
11. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	12
12. კომერციული ხარჯები	13
13. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	13
14. ზარალი გაუფასურებიდან	13
15. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	13
16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	15
17. ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი შემთხვევები	15
18. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება	16

შპს აგრიმატკო ჯორჯია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარში)

	შენიშვნა	31.12.2021	31.12.2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	251, 141	237,786
არამატერიალური აქტივები		2, 011	2, 352
		253,152	240,138
მოკლევადიანი აქტივები			
ინვენტარი	5	2, 175, 308	3, 793, 889
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	553 866	405, 335
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები	7	955, 972	117, 039
		3,685,146	4, 316, 263
სულ აქტივები		3,938,298	4,556,401
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		476, 113	476, 113
გაუნაწილებელი მოგება / დაგროვილი ზარალი		773, 313	(2,043, 602)
სულ კაპიტალი		1,249,426	(1,567,489)
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები		-	43, 478
მოკლევადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	8	2, 068,810	327, 660
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	576, 584	5, 716, 906
საიჯარო ვალდებულებები		43,478	35, 846
		2,688,872	6,080,412
სულ ვალდებულებები		2,688,872	6,123,890
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		3,938,298	4,556,401

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა მენეჯმენტის სახელით
2022 წლის 1 ივნისს:

გენერალური მენეჯერი საად ჯარუში

ფინანსური მენეჯერი ნინო ტოტოშვილი

შპს აგრიმატკო ჯორჯია

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარში)

	შენიშვნა	2021	2020
შემოსავალი	10	5,983,476	3,967,082
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	11	(4,501,671)	(2,890,488)
საერთო მოგება		1,481,805	1,076,594
სხვა შემოსავალი		29,651	4,415
კომერციული ხარჯები	12	(416,889)	(340,753)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	13	(410,613)	(305,971)
გაუფასურების შედეგად მიღებული ზარალი	14	(107,070)	(42,917)
საოპერაციო მოგება		576,881	391,368
ფინანსური შემოსავალი		4,673	4,560
ფინანსური ხარჯი		(69,856)	(7,648)
სავალუტო შემოსავალი/(ზარალი), წმინდა		267,317	(982,813)
მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)		779,015	(594,533)

გენერალური მენეჯერი საად ჯარუში

ფინანსური მენეჯერი ნინო ტოტოშვილი

შპს აგრიმატკო ჯორჯია

საპუტარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარში)

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		476,113	(1,449,181)	(973,068)
სულ სრული ზარალი		-	(594,421)	(594,421)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		476,113	(2,043,602)	(1,567,489)
სულ სრული შემოსავალი		-	779,015	779,015
გარიგების შედეგი დაკავშირებულ მხარეებთან	9	-	2,037,900	2,037,900
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის		476,113	773,313	1,249,426

გენერალური მენეჯერი საად ჯარუში

ფინანსური მენეჯერი ნინო ტოტოშვილი

შპს აგრიმატკო ჯორჯია

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარში)

	შენიშვნა	2021	2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		779,015	(594,533)
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია		38,389	35,494
ცვლილებები საექვო ვალების ანარიცხებში	14	(40,287)	15,892
სასაქონლო მარაგების გაუფასურება	14	147,357	27,025
ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული ზარალი		1,278	298
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა		198	-
საპროცენტო შემოსავალი		(4,673)	(4,560)
საპროცენტო ხარჯი		69,856	7,648
გაცვლითი კურსის სხვაობების გავლენა		(267,317)	982,813
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან, საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებების შეტანამდე		723,816	470,189
საბრუნავი კაპიტალის მოძრაობა			
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებების შემცირება		261,005	57,503
სასაქონლო მარაგების შემცირება/(გაზრდა).		1,471,224	(1,076,554)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/(კლება)		(2,653,300)	379,445
ფულადი სახსრების გადინება საოპერაციო საქმიანობიდან		(197,255)	(169,417)
სალიზინგო ვალდებულებაზე გადახდილი პროცენტი		(8,679)	(7,648)
მიმდინარე საბანკო ანგარიშიდან მიღებული პროცენტი		4,673	4,560
წმინდა ფულადი სახსრების გადინება საოპერაციო საქმიანობიდან		(201,261)	(172,505)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	4	(56,078)	(71,814)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა		3,200	300
წმინდა ფულადი სახსრების გადინება საინვესტიციო საქმიანობიდან		(52,878)	(71,514)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
საიჯარო ვალდებულებაზე გადახდილი ძირი თანხა		(27,526)	(15,918)
სესხებიდან მიღებული შემოსულობა		1,484,775	326,984
სესხების დაფარვა		(316,030)	-
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		1,141,219	311,066
ფულ. სახსრების და ფულ. სახსრების ეკვივალენტების წმინდა ზრდა		887,080	67,047
ფულ. სახსრები და ფულ. სახ.-ის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	7	117,039	87,462
ფულ. სახსრების და ფულ. სახსრების ეკვივალენტების სავალუტო გაცვლის შედეგად მიღებული ზარალი		(48,147)	(37,470)
ფულ. სახსრები და ფულ. სახ.-ის ეკვივალენტები წლის ბოლოს	7	955,972	117,039

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს “აგრიმატკო ჯორჯია” (შემდგომში “კომპანია”, საიდენტიფიკაციო ნომერი (404860101)) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა 2010 წლის დეკემბერში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის 100%-იანი წილი ეკუთვნის შპს Agrimatco HE-ს, რომელიც რეგისტრირებულია კვიპროსში.

კომპანიის იურიდიული მისამართია თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, ა. წერეთლის გამზ. N141ა. კომპანიის გენერალური მენეჯერია საად ჯარუში. კომპანიის დირექტორია მიკოლა ბურიაკი.

კომპანიის აქციების ძირითადი მფლობელებს და მაკონტროლებელ მხარეს წარმოადგენენ ხალედ ხ.ა. მიქდადი და მუსტაფა ხალილ აბდელ-რაჰიმ მიქდადი.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დისტრიბუცია. საქმიანობის სფეროებია კულტურებისა და ნარგავების დაცვა, სპეციალიზებული სასუქები, თესლი და სასოფლო-სამეურნეო იარაღები.

2. მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (ერთობლივად მოხსენიებული, როგორც „მსს ფასს“).

საქართველოში რეგისტრირებული მოცემული კომპანია სააღრიცხვო ჩანაწერებს აწარმოებს მსს ფასს-ის შესაბამისად, ქართულ ლარში. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში (GEL), რომელიც ასევე არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდია კალენდარული წელი 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები არ არის დამრგვალებული, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად, საჭიროებს გარკვეული კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე, საჭიროა, რომ მენეჯმენტმა შეიმუშაოს მიდგომა სააღრიცხვო პოლიტიკის საუკეთესო გამოყენების თაობაზე. სფეროები, სადაც ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას წარმოდგენილ იქნა მნიშვნელოვანი შეფასებები და პროგნოზები და ასევე მათი შედეგები მოცემულია შენიშვნა 3-ში.

ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია მე-18 შენიშვნაში.

შეფასების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა პირვანდელი ღირებულების საფუძველზე.

ფუნქციონირებადი საწარმო

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა იმის გათვალისწინებით, რომ კომპანია წარმოადგენს ფუნქციონირებად საწარმოს და გააგრძელებს ფუნქციონირებას უახლოეს მომავალში. მენეჯმენტი და აქციონერები აპირებენ კიდევ უფრო განავითარონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. მომზადების

საფუძვლის მიზანშეწონილობის დადგენისას, კომპანიის მენეჯმენტმა გაითვალისწინა COVID-19 პანდემიის გავლენა კომპანიის პოზიციაზე 2021 წლის 31 დეკემბერს და მის სამომავლო ოპერაციებზე. პანდემიასთან მიმართებაში მთავრობის რეაგირება განსხვავებულად მოქმედებს სხვადასხვა ოპერაციულ სეგმენტზე. პანდემიამ, მიუხედავად მისი ზემოქმედებისა კომპანიის ოპერაციებზე, ფულადი სახსრების ნაკადებზე და ფინანსურ მდგომარეობაზე, ზეგავლენა ვერ მოახდინა კომპანიის ოპერაციების უწყვეტობაზე. შესაბამისად, მენეჯმენტი მიზანშეწონილად მიიჩნევს კომპანიისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსის დაშვებას.

3. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და პროგნოზები

კომპანია აკეთებს გარკვეულ შეფასებებსა და დაშვებებს მომავლის შესახებ. ვარაუდები და პროგნოზები მუდმივად ფასდება გასული პერიოდების გამოცდილებისა და სხვა ფაქტორების საფუძველზე, მათ შორის მომავლის მოვლენების იმ მოლოდინების გათვალისწინებით, რომლებიც გონივრულად მიიჩნევა მოცემულ ვითარებაში. სამომავლოდ, ფაქტობრივი გამოცდილება შესაძლოა განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. შეფასებები და დაშვებები, რომლებსაც გააჩნიათ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების არსებითი კორექტირების მნიშვნელოვანი რისკი შემდეგი ფინანსური წლის განმავლობაში, განხილულია ქვემოთ.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა - ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ხდება მათი ცვთა. სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება მენეჯმენტის შეფასებების მიხედვით იმ პერიოდის შესახებ, რომლის განმავლობაშიც აქტივები გამოიმუშავებენ შემოსავალს, რომლებიც დროდადრო გადაიხდება მათი მიზანშეწონილობის დასადგენად. პროგნოზებში არსებულმა ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ცვლილება საბალანსო ღირებულებაში და იმ თანხებში, რომლებიც აღიარებულია მთლიანი შემოსავლის ანგარიშგებაში კონკრეტულ პერიოდებში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება. გაუფასურების ანარიცხის აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება (როგორცაა მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები კონტრაგენტის მხრიდან, დეფოლტი ან გადახდის მნიშვნელოვნად დაგვიანება), რომ კომპანია ვერ შეძლებს დებიტორული დავალიანების პირობების მიხედვით გადასახდელი ყველა თანხის შეგროვებას, ასეთი ანარიცხის ოდენობა წარმოადგენს სხვაობას წმინდა საბალანსო ღირებულებასა და გაუფასურებულ დებიტორულ დავალიანებასთან დაკავშირებული მომავალში მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის. როდესაც დადასტურდება, რომ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება არ ექვემდებარება ამოღებას, აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება შესაბამის ანარიცხთან მიმართებაში.

დაგროვილი გაუფასურების შემთხვევაში, კომპანია იყენებს შემდეგ განაკვეთებს:

	განაკვეთი
1-30 ვადაგადაცილებული	10%
31-90 ვადაგადაცილებული	15%
91-120 ვადაგადაცილებული	20%
121-180 ვადაგადაცილებული	25%
181-360 ვადაგადაცილებული	50%
360-ზე მეტი ვადაგადაცილებული	100%

შპს აგრიმატკო ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგების განმარტებები

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის (ლარში)

4. ძირითადი საშუალებები

პირვანდელი ღირებულება	ავტომობილები	ავეჯი და სხვა აღჭურვილობა	IT ტექნიკა	სულ
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომ.	249,196	23,383	18,058	290,637
შემოსვლა	56,300	14,942	572	71,814
გასვლა	-	-	(1,638)	(1,638)
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომ	305,496	38,325	16,992	360,813
შემოსვლა	46,713	3,927	5,438	56,078
გასვლა	(8,413)	(360)	-	(8,773)
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომ	305,496	41,892	22,430	408,118
დაგროვილი ცვეთა		-		
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომ.	(69,204)	(10,766)	(8,945)	(88,915)
ცვეთა	(29,081)	(3,526)	(2,545)	(35,152)
გასვლა	-	-	1,040	1,040
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომ	(98,285)	(14,292)	(10,450)	(123,027)
ცვეთა	(30,642)	(4,654)	(2,751)	(38,047)
გასვლა	3,935	162	-	4,097
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომ	(124,992)	(18,784)	(13,201)	(156,977)
წმინდა საბალანსო ღირებულება		-		
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომ	207,211	24,033	6,542	237,786
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომ	218,804	23,108	9,229	251,141

2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსური ლიზინგის უზრუნველყოფის სახით დაგირავებული იყო ავტომანქანები, შესაბამისად, 99,616 ლარის და 112,898 ლარის წმინდა საბალანსო ღირებულებით.

2020 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შემდეგი აქტივები სრულად არის ამორტიზებული, თუმცა ჯერ კიდევ გამოიყენება კომპანიის მიერ:

- ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა - ჯამური პირვანდელი ღირებულება 6,820 ლარი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 6,820 ლარი)
- IT აღჭურვილობა - ჯამური პირვანდელი ღირებულება 4,324 ლარი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 3,566 ლარი).

5. მარაგები

	31.12.2021	31.12.2020
აგროქიმიკატები	1,753,102	3,320,226
სასუქები	215,065	236,224
თესვები	153,300	180,923
სხვა	53,841	56,516
	2,175,308	3,793,889

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2021	31.12.2020
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო მოთხოვნები	688,854	606,272
საექვო მოთხოვნების ანარიცხები	(216,071)	(262,898)
	472,783	343,374
არაფინანსური აქტივები		
წინასწარ გადახდილი ხელფასები	15,410	7,574
საგადასახადო აქტივები	5,233	4,606
სხვა წინასწარი გადახდები	60,440	49,781
	81,083	61,961
მთლიანი სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	553,866	405,335

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები ასახავს მიმდინარე დებიტორულ დავალიანებებს 2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. არცერთი დებიტორული დავალიანება არ ექვემდებარება საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას თავდაპირველი აღიარების დღიდან. საკრედიტო რისკი იმართება კლიენტების კრედიტუნარიანობის შეფასებით, იქამდე, სანამ კომპანია შესთავაზებს სტანდარტულ გადახდის და მომსახურების პირობებს.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსური დებიტორული დავალიანების საკრედიტო ანალიზი შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	მთლიანი საბალანსო ღირებულება	ზარალის მოსალოდნელი მაჩვენებელი	ზარალის უზრუნველყოფა
დებიტორული დავალიანება, რომელიც ერთობლივად არის განსაზღვრული გაუფასურებულად			
მიმდინარე	326,898	0%	-
30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილება	2,699	10%	270
31-დან 90 დღემდე ვადაგადაცილებული	37,072	15%	5,561
91-დან 120 დღემდე ვადაგადაცილებული	34,128	20%	6,826
121-დან 180 დღემდე ვადაგადაცილებული	88,782	25%	22,196
181-დან 360 დღემდე ვადაგადაცილებული	36,115	50%	18,058
360 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	163,160	100%	163,160
სულ დაგროვილი გაუფასურება	688,854		216,071
მთლიანი ფინანსური აქტივები	688,854		216,071

შპს აგრიმატკო ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგების განმარტებები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარში)

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსური დებიტორული დავალიანების საკრედიტო ანალიზი შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	მთლიანი საბალანსო ღირებულება	ზარალის მოსალოდნელი მაჩვენებელი	ზარალის უზრუნველყოფა
დებიტორული დავალიანება, რომელიც ერთობლივად განსაზღვრული გაუფასურებულად			
მიმდინარე	310,066	0%	-
30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილება	269	10%	27
31-დან 90 დღემდე ვადაგადაცილებული	10,547	15%	1,582
91-დან 120 დღემდე ვადაგადაცილებული	20,499	20%	4,100
121-დან 180 დღემდე ვადაგადაცილებული	5,187	25%	1,297
181-დან 360 დღემდე ვადაგადაცილებული	7,625	50%	3,813
360 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	252,079	100%	252,079
სულ დაგროვილი გაუფასურება	606,272		262,898
მთლიანი ფინანსური აქტივები	606,272		262,898

საექვსო მოთხოვნების ანარიცხების შეჯერება შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2021	2020
1-ელ იანვარს	(262,898)	(247,006)
წლიური გადასახადი	40,287	(15,892)
დებიტორული დავალიანების ჩამოწრა	6,540	-
31 დეკემბერს	(216,071)	(262,898)

7. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები

	31.12.2021	31.12.2020
ნაღდი ფული ხელზე	-	10,515
ნაღდი ფული ბანკებში	955,972	106,524
	955,972	117,039

მთლიანი შემოსავლის ანგარიშგება 2021 და 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის მოიცავს ბანკის მიმდინარე ანგარიშებზე დარიცხულ საპროცენტო შემოსავალს, შესაბამისად 4,673 და 4,560 ლარის საერთო ოდენობით. საპროცენტო შემოსავალი მიღებულია საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის.

8. სესხები

2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სესხები წარმოდგენილია დაკავშირებული მხარისგან მიღებული მოკლევადიანი სესხების სახით, ჯამური ოდენობით 2,068,810 ლარი და 327,660 ლარი. შეთანხმებული საპროცენტო განაკვეთი არის 3% 2021 წელს მიღებულ სესხებზე, ხოლო 2020 წელს მიღებული სესხები უპროცენტოა.

მათი მოკლევადიანი ხასიათიდან გამომდინარე, სესხების საბალანსო ღირებულება ახლოს არის მათ სამართლიან ღირებულებასთან.

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2021	31.12.2020
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები*	573,755	5,702,253
სხვა ვალდებულებები	2,829	14,653
	576,584	5,716,906

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადასახდელი მთლიანი ბალანსი უკავშირდება 2 უმსხვილეს მომწოდებელს (2020 წლის 31 დეკემბერი: 4 უმსხვილესი მიმწოდებელი).

წლის განმავლობაში საქონლის მთლიანი შესყიდვების 100% მოდის 3 უმსხვილეს მომწოდებელზე (2020: 4 უმსხვილესი მიმწოდებელი - 96%).

*2021 წლის 8 აგვისტოს კომპანიამ გააფორმა ხელშეკრულება Agrimatco FZCO-სთან. ხელშეკრულების საგანია 2015-2018 წლებით დათარიღებული პროდუქციის მიწოდების შედეგად დაგროვილი სავაჭრო დავალიანების პატიება 657,535,65 აშშ დოლარის (2,037,900 ლარი) ოდენობით.

ვალის პატიების გადაწყვეტილება მიიღეს ძირითადად აქციონერებმა, ამიტომ გარიგება განიხილება, როგორც დედა კომპანიის მიერ განხორციელებული შენატანი, ხოლო შედეგი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულია, როგორც კაპიტალის კომპონენტი.

10. ამონაგები

	2021	2020
აგროქიმიკატები	5,615,547	3,692,258
სასუქები	210,413	153,091
თესლები	154,115	121,515
სხვა	3,401	218
	5,983,476	3,967,082

11. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2021	2020
აგროქიმიკატები	(4,241,142)	(2,698,331)
სასუქები	(166,266)	(118,709)
თესლები	(92,028)	(72,274)
სხვა	(2,235)	(1,174)
	(4,501,671)	(2,890,488)

12. კომერციული ხარჯები

	2021	2020
ხელფასები და სხვა გადასახადები თანამშრომლებზე	(173,419)	(157,395)
საიჯარო ხარჯები	(83,909)	(58,281)
საწვავი	(45,228)	(36,750)
ცვეთა და ამორტიზაცია	(30,642)	(29,081)
დაზღვევა	(25,589)	(20,829)
რემონტი და ტექნიკური მომსახურება	(20,238)	(21,662)
სარეკლამო ხარჯი	(16,025)	(16,755)
სხვა	(21,839)	-
	(416,889)	(340,753)

13. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	2021	2020
ხელფასები და სხვა გადასახადები თანამშრომლებზე	(238,799)	(162,079)
საგადასახადო ხარჯები, გარდა საშემოსავლო გადასახადისა	(42,276)	(38,577)
პროფესიული მომსახურება	(36,082)	(27,177)
საიჯარო ხარჯები	(13,509)	(13,635)
რემონტი და ტექნიკური მომსახურება	(12,859)	-
მივლინების ხარჯები	(9,363)	(1,212)
ცვეთა და ამორტიზაცია	(7,747)	(6,413)
საოფისე ხარჯები	(6,656)	(7,468)
წარმომადგენლობითი ხარჯები	(5,796)	(8,786)
დაზღვევა	(4,166)	(2,751)
საბანკო გადასახადები	(2,251)	(3,867)
სხვა	(31,109)	(34,006)
	(410,613)	(305,971)

წამყვანი მენეჯმენტის ანაზღაურება მოცემულია მე-15 შენიშვნაში.

14. ზარალი გაუფასურებიდან

	2021	2020
ცვლილებები საეჭვო მოთხოვნების ანარიცხებში	40,287	(15,892)
სასაქონლო მარაგების გაუფასურება	(147,357)	(27,025)
	(107,070)	(42,917)

15. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები, ან გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც ეს განსაზღვრულია მსს ფასის 33-ე პუნქტით „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“, წარმოადგენს:

(ა) პირს ან ამ პირის ოჯახის ახლო წევრს, რომელიც დაკავშირებულია ანგარიშვალდებულ სუბიექტთან, თუ ეს პირი:

(i) არის ანგარიშვალდებული საწარმოს ან ანგარიშვალდებული საწარმოს მშობელი კომპანიის წამყვანი მენეჯმენტის წევრი;

- (ii) აკონტროლებს ან ერთობლივ კონტროლს ახორციელებს ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან
- (iii) აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე.
- (ბ) საწარმო, რომელიც დაკავშირებულია ანგარიშვალდებულ საწარმოსთან, თუ სრულდება რომელიმე ქვემოთ მითითებული პირობა:
- (iv) საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო ერთი და იგივე ჯგუფის წევრები არიან (რაც ნიშნავს, რომ თითოეული მშობელი, შვილობილი და იმავე დონის სხვა შვილობილი საწარმო დაკავშირებულია სხვასთანაც).
- (v) ერთი საწარმო არის მეორე საწარმოსთან ასოცირებული ან ერთობლივი საწარმო (ან ასოცირებული ან ერთობლივი საწარმო იმ ჯგუფის წევრისა, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო).
- (vi) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე სუბიექტის ერთობლივი საწარმოს.
- (vii) ერთი საწარმო არის მესამე მხარის ერთობლივი საწარმო, ხოლო მეორე საწარმო არის მესამე მხარის ასოცირებული საწარმო.
- (viii) საწარმო არის დასაქმების შემდგომი სარგებლის გეგმა ანგარიშვალდებული საწარმოს თანამშრომლებისთვის ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული ერთეულისთვის. თუ ანგარიშვალდებული საწარმო თავად წარმოადგენს ამგვარ გეგმას, დამფინანსებელი დამსაქმებლები ასევე ასოცირდებიან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან.
- (ix) საწარმოს აკონტროლებს ან ერთობლივ კონტროლს ახორციელებს პირი, რომელიც მითითებულია (ა) პუნქტში.
- (x) საწარმო ან იმ ჯგუფის ნებისმიერი წევრი, რომლის ნაწილიც ის არის, უზრუნველყოფს წამყვანი მენეჯმენტის პერსონალის მომსახურებას ანგარიშვალდებული საწარმოსთვის ან ანგარიშვალდებული საწარმოს მშობლისთვის.
- (xi) პირს, რომელიც იდენტიფიცირებულია (ა) (ii) პუნქტში, აქვს მნიშვნელოვანი გავლენა საწარმოზე ან არის საწარმოს (ან საწარმოს მშობლის) წამყვანი მენეჯმენტის პერსონალის წევრი.
- თითოეული შესაძლო დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას, ყურადღება ეთმობა ურთიერთობის არსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას.
- კომპანიასა და დაკავშირებულ მხარეებს შორის გარიგებების დეტალები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

		<u>31.12.2021</u>	<u>31.12.2020</u>
ფინანსური	მდგომარეობის		
ანგარიშგება			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	სუბიექტი საერთო კონტროლის ქვეშ	476,444	2,675,549
სესხები	სუბიექტი საერთო კონტროლის ქვეშ	2,068,810	327,660
სრული შემოსავლის ანგარიშგება			
საპროცენტო ხარჯები	სუბიექტი საერთო კონტროლის ქვეშ	(55,370)	-
თანამშრომლების მოკლევადიანი სარგებელი	ტოპ მენეჯმენტი	(180,124)	(118,300)

16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ომი უკრაინაში - რუსეთის ფედერაციამ 2022 წლის 24 თებერვალს დაიწყო სრულმასშტაბიანი შეჭრა უკრაინაში, რომელიც გრძელდება ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღის მდგომარეობით.

რუსეთის ფედერაციის შეჭრამ უკრაინაში და შემდგომმა გლობალურმა პასუხმა ამ სამხედრო ქმედებებზე შესაძლოა მნიშვნელოვანი ფინანსური გავლენა იქონიოს ბევრ სუბიექტზე. ეს მოიცავს სუბიექტებს, რომლებსაც აქვთ ფიზიკური ოპერაციები უკრაინაში, რუსეთსა და ბელორუსში, ისევე როგორც არაპირდაპირი ინტერესები (მაგ. მომწოდებლები და მომხმარებლები, ინვესტიციები და კრედიტორები). რუსეთის მთავრობის, რუსეთის სუბიექტებისა და რუსეთის ფიზიკურ პირებზე მრავალი იურისდიქციის მიერ დაწესებულმა სანქციებმა შეიძლება ისეთი გავლენა მოახდინოს კომპანიაზე, როგორიცაა ფინანსურ რესურსებზე და ვაჭრობაზე წვდომის დაკარგვა, ისევე როგორც სანქციების შედეგები მსოფლიო ფასებზე (მაგ. ნავთობი, ბუნებრივი გაზი და სხვა ნავთობპროდუქტები).

მენეჯმენტს არ შეუძლია შეაფასოს ამ ომის გავლენა (ან პოტენციური გავლენა) კომპანიის ოპერაციებზე. 2021 წლის 31 დეკემბრის და ამ ფინანსური ანგარიშგების თარიღისთვის კომპანიას არ აქვს მნიშვნელოვანი ოპერაციები და ნაშთები ომის შედეგად დაზარალებულ კომპანიებთან/ფიზიკურ პირებთან.

17. ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი შემთხვევები

სამართლებრივი საქმეები

2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ აქვს მიმდინარე სამართლებრივი საქმეები და საჩივრები. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ვალდებულებას, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ქმედებებიდან ან საჩივრებიდან გამომდინარე, არ ექნება არსებითი უარყოფითი გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ან მომავალი ოპერაციების შედეგებზე. შესაბამისად, ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით ცალკე ფინანსურ ანგარიშგებაში ანარიცხი არ არის დარიცხული.

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა შესაძლოა დაექვემდებაროს განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ცვლილებებს. გარდა ამისა, იმის გამო, რომ მენეჯმენტის მიერ საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაცია შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციისგან, ტრანზაქციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანია შეიძლება დაექვემდებაროს დამატებით გადასახადებს, ჯარიმებსა და პროცენტებს. კომპანიას მიაჩნია, რომ მან უკვე განხორციელდა ყველა საგადასახადო ანგარიშსწორება და, შესაბამისად, არანაირი კორექტირება არ მომხდარა ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებაში. საგადასახადო წლები ღიაა საგადასახადო ორგანოების შემოწმებისთვის სამი წლის განმავლობაში.

საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ანარიცხები აღიარდება, როდესაც შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო შეფასება. პირობითი ვალდებულების შესახებ ანარიცხი არ აღიარდება, მანამ სანამ არ მოხდება მისი სათანადო შეფასება. ვალდებულებები ჯარიმებზე, პროცენტებზე და გადასახადებზე, აღიარებულია ხელმძღვანელობის მიერ საანგარიშო პერიოდის ბოლოს ვალდებულებების დასაფარად საჭირო დანახარჯების საუკეთესო შეფასების საფუძველზე. საკუთარი შეფასებებისა და შიდა პროფესიული რჩევების საფუძველზე, ხელმძღვანელობა თვლის, რომ საგადასახადო ვალდებულებებთან

დაკავშირებით არ იქნება წარმოქმნილი დამატებითი მატერიალური ზარალი, გარდა ფინანსურ ანგარიშგებაში უკვე აღიარებულია.

საოპერაციო გარემო

განვითარებადი ბაზრები, როგორცაა საქართველო, ექვემდებარება განსხვავებულ რისკებს, ვიდრე უფრო განვითარებული ბაზრები, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური და სამართლებრივი და საკანონმდებლო რისკები. საქართველოში ბიზნესზე მოქმედი კანონები და რეგულაციები სწრაფად იცვლება, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ მიმართულებაზე დიდ გავლენას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, სამართლებრივ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოში განვითარებულ მოვლენებთან ერთად.

18. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. ეს პოლიტიკა თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული ყველა წარმოდგენილი პერიოდისთვის, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

უცხოური ვალუტის გადაფასება

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაფასდება კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. სავალუტო მოგება და ზარალი, რომელიც წარმოიქმნება ანგარიშსწორების ოპერაციებით და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში წლის ბოლოს ოფიციალური გაცვლითი კურსებით გადაფასების შედეგად, აღიარებულია მთლიანი შემოსავლის ანგარიშგებაში. წლის ბოლო განაკვეთებით გადაფასება არ ვრცელდება არაფულად მუხლებზე. უცხოური ვალუტის ნაშთების ქართულ ლარში გადასატანად გამოყენებული ვალუტის გაცვლითი კურსები (საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსები) იყო:

	ევრო	აშშ დოლარი
გაცვლითი კურსი, 31 დეკემბერი 2021	3.5040	3.0976
გაცვლითი კურსი, 31 დეკემბერი 2020	4.0233	3.2766

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად ფასდება ტრანზაქციის ფასით (რაც მოიცავს ტრანზაქციის ღირებულებას, გარდა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საწყისი შეფასებისა, რომლებიც შეფასდება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალის მეშვეობით). თუმცა, თუ შეთანხმება წარმოადგენს საფინანსო ტრანზაქციას, ის მაშინ განისაზღვრება მომავალი გადახდების მიმდინარე დისკონტირებული ღირებულებით, საბაზრო საპროცენტო განაკვეთის შესაბამისად.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება აღიარებულია თავდაპირველად გარიგების ფასით. ისინი შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. სავაჭრო დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს შეაგროვოს ყველა კუთვნილი თანხა დებიტორული დავალიანების საწყისი პირობების მიხედვით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა გადასახდელები თავდაპირველად ფასდება ტრანზაქციის ფასით და შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, საპროცენტო ხარჯით აღიარებული ეფექტური შემოსავლიანობის საფუძველზე.

სესხები

სესხები თავდაპირველად ფასდება სამართლიანი ღირებულებით, ტრანზაქციის ხარჯების გამოკლებით. შემდგომში სესხები ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და ნაღდი ფულის ექვივალენტები

ნაღდი ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს მცირე ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს ბანკებში და ფულად სახსრებს ტრანზიტში, დეპოზიტებსა და სავაჭრო ფასიან ქაღალდებს, რომელთა თავდაპირველი ვადა არ აღემატება სამ თვეს.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ისტორიული ღირებულება მოიცავს ხარჯებს, რომლებიც უშუალოდ მიეკუთვნება ძირითადი საშუალების შეძენას.

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. ისევე როგორც შესყიდვის ფასი, თვითღირებულება მოიცავს უშუალოდ მიეკუთვნებულ ხარჯებს და აქტივების მონტაჟისა და დემონტაჟისათვის ნებისმიერი მომავალი გარდაუვალი ხარჯების სავარაუდო ამჟამინდელ ღირებულებას. შესაბამისი ვალდებულება აღიარებულია ანარიცხებში.

შემდგომი თანმდევი ხარჯები შედის აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარებულია ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ სავარაუდოა, რომ ადგილი ექნება აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემოძინებას კომპანიაში და როდესაც შესაძლებელია ნივთის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

შეცვლილი ნაწილის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სხვა შეკეთებისა და რემონტის ხარჯები აისახება მოგება-ზარალში იმ ფინანსური პერიოდის განმავლობაში, რომელშიც ისინი წარმოიქმნება.

აქტივის ამორტიზაცია იწყება მაშინ, როდესაც ის ხელმისაწვდომია გამოსაყენებლად, ანუ როდესაც ის იმყოფება იმ ადგილას და მდგომარეობაში, რომელიც აუცილებელია იმისათვის, რომ შეძლოს იმუშაოს მენეჯმენტის მიერ გათვალისწინებული წესით. ამორტიზაცია არ წყდება, როდესაც აქტივი უმოქმედოა ან აღარ არის აქტიურ სარგებლობაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივი მთლიანად არის ამორტიზებული.

ცვეთის დარიცხვა ხდება ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებაზე და მიზნად ისახავს აქტივების ჩამოწერას მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდით შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადებით:

სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)

სატრანსპორტო საშუალებები	10
ავეჯი და ინვენტარი	7
ოფისის აღჭურვილობა	5

აქტივების ნარჩენი ღირებულებები და სასარგებლო მომსახურების ვადები გადაიხედება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის კომპანია აფასებს არის თუ არა რაიმე საფუძველი რომელიმე აქტივის გაუფასურების. თუ არსებობს ნიშნები შესაძლო გაუფასურების შესახებ, ნებისმიერი ზემოქმედების ქვეშ მოქცეული აქტივის (ან დაკავშირებული აქტივების ჯგუფის) ანაზღაურებადი თანხა შეფასდება და შედარდება მის საბალანსო ღირებულებასთან. თუ სავარაუდო ანაზღაურებადი თანხა უფრო დაბალია, საბალანსო ღირებულება მცირდება მის სავარაუდო ანაზღაურებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალი აღიარდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

მარაგები

მარაგები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით და შემდგომში თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველა ხარჯს და სხვა ხარჯებს, რომლებიც გაიწევა მარაგების ამჟამინდელ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად. შეწონილი საშუალო გამოიყენება ჩვეულებრივ ურთიერთშემცვლელი ნივთების ღირებულების დასადგენად.

გადასახადები

საშემოსავლო გადასახადის ხარჯი წარმოადგენს ამჟამად გადასახდელი გადასახადის ჯამს. ამჟამად გადასახდელი გადასახადი ეფუძნება წლის დასაბეგრი მოგებას. დასაბეგრი მოგება განსხვავდება მოგების ანგარიშგებაში მოხსენებული მოგებისგან, რადგან ის გამორიცხავს შემოსავლის ან ხარჯის ნაწილებს, რომლებიც არ იბეგრება ან გამოიქვითება მიმდინარე პერიოდში. კომპანიის ვალდებულება მიმდინარე გადასახადზე გამოითვლება საგადასახადო განაკვეთების გამოყენებით, რომლებიც ამოქმედდა ან არსებითად ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

საქართველოში რეგისტრირებული კომპანიების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და საგადასახადო ბაზებს შორის არ არსებობს სხვაობა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივები ან გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები.

საშემოსავლო გადასახადის გარდა სხვა გადასახადები აღიარდება, როდესაც ხდება სავალდებულო მოვლენები. სავალდებულო მოვლენები არის მოვლენა, რომელიც იწვევს გადასახადის გადახდის ვალდებულებას. გადასახადები გამოითვლება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები აღიარდება აქტივებად. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, კომპანიამ უნდა გადაიხადოს გადასახადები ერთიან სახაზინო კოდეზე, რომელიც გამოიყენება ყველა გადასახადისთვის. შედეგად, კომპანია წარმოადგენს საგადასახადო აქტივებსა და ვალდებულებებს ურთიერთ გაქვითვით, როგორც საგადასახადო აქტივი ან საგადასახადო ვალდებულება.

იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება როგორც ფინანსური იჯარა, როდესაც იჯარის პირობები გადასცემს კომპანიას იჯარით აღებული აქტივის საკუთრების არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო იჯარა.

ფინანსური იჯარით მფლობელობაში მყოფ აქტივებზე უფლებები აღიარებულია კომპანიის აქტივებად იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულებით (ან, თუ უფრო დაბალია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულებით) იჯარის დაწყებისას. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება შედის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის

ვალდებულება. იჯარის გადასახადები გადანაწილებულია ფინანსურ ხარჯებსა და იჯარის ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ მიღწეული იყოს მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დარჩენილ ნაშთზე. ფინანსური ხარჯები გამოიქვითება მოგების ან ზარალის გაანგარიშებისას. ფინანსური იჯარით გათვალისწინებული აქტივები შედის ძირითად საშუალებებში, ერიცხება ცვეთა და ფასდება გაუფასურების ზარალზე ისევე, როგორც საკუთრებაში არსებული სხვა აქტივები.

იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანია არის მოიჯარე, რომელსაც არ გადაეცემა საკუთრებაში ფლობის ყველა რისკი და სარგებელი მეიჯარისგან, იჯარის მთლიანი გადასახადები აისახება წლის მოგება-ზარალში წრფივი მეთოდით.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდებაში ცვლილებები (ცვლილებები საწესდებო კაპიტალში, საკუთრებაში და ა.შ.) უნდა განხორციელდეს მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილების საფუძველზე. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში იმ რაოდენობით, რამდენადაც იგი შეტანილია მფლობელების მიერ კომპანიაში.

შემოსავალი არის ეკონომიკური სარგებლის ზრდა საანგარიშო პერიოდში აქტივების შემოძინების ან გაზრდის ან ვალდებულებების შემცირების სახით, რაც იწვევს კაპიტალის ზრდას, გარდა მფლობელების შენატანებთან დაკავშირებული. ჩანაწერი „გარდა იმ ჩანაწერისა, რომელიც ეხება მესაკუთრეთა შენატანებს“ არ ცნობს მფლობელის მიერ შესრულებულ შენატანს შემოსავლად. ამრიგად, მფლობელის მიერ შეტანილი შენატანების ეფექტი აღირიცხება, როგორც კაპიტალის კომპონენტი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში.

ამონაგები

ამონაგები ფასდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით და წარმოადგენს საქონლისა და მომსახურების ნორმალურ მსვლელობაში მიწოდებულ თანხებს, ფასდაკლებების, მოცულობის ფასდაკლებისა და გაყიდვებთან დაკავშირებული გადასახადების გარეშე.

ამონაგები აღიარდება როდესაც საქონელი მიწოდებულია და საკუთრების ფლობის რისკი და სარგებელი გადადის მყიდველზე.

ხარჯების აღიარება

ხარჯები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ადგილი აქვს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან, რომელიც შეიძლება საიმედოდ შეფასდეს.

პროდუქციის რეალიზაციისას გაწეული ხარჯები აღიარებულია შემოსავლის პროპორციული გაანგარიშებით. ხარჯები აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში დაუყოვნებლივ, თუ ხარჯები აღარ იწვევს მომავალში ეკონომიკური სარგებლის შემოსვლას, ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

თანამშრომლების სარგებელი

ხელფასები, ბონუსები, პრემიები და არაფულადი სარგებელი აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი მომსახურება გაიწევა კომპანიის თანამშრომლების მიერ.

მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ

